



ეკონომიკა

მონეტარული პოლიტიკა: 2024 წლის 22 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა, დაბალინფლაციური გარემოს გათვალისწინებით. სებ-ის განახლებული პროგნოზით, ინფლაცია 2024 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივი 3.0%-ის ქვემოთ იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მის ირგვლივ დასტაბილურდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2024 წლის 19 ივნისს ჩატარდება.

უმუშევრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის I კვარტალში უმუშევრობის დონე წლიურად 4.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ისტორიული მინიმუმი 14.0% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა წლიურად 10.4%-ით გაიზარდა და მთლიანი დასაქმების 68.0% შეადგინა, ხოლო თვითდასაქმებულების წლიური ზრდა 9.9% იყო. ამასთან, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე 3.0 პროცენტული პუნქტით 55.0%-მდე გაიზარდა 2024 წლის I კვარტალში.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 5.9%-ით გაიზარდა 2024 წლის აპრილში, წინა თვეში დაფიქსირებული 4.0%-იანი ზრდის შემდეგ. მწარმოებელთა ფასების წლიური ზრდაზე ზეგავლენა იქონია ფასების ზრდამ სამთომოპოვებითი მრეწველობის (+19.7%), დამამუშავებელი მრეწველობის (+4.5%), და ელექტროენერგიის მიწოდების (+9.0%) სექტორებში.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის აპრილში საქონლის ექსპორტი წლიურად, მნიშვნელოვნად, 12.7%-ით შემცირდა და 437.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 4.4%-იანი კლების შემდეგ. იმპორტი წლიურად 11.3%-ით გაიზარდა 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 14.7%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 27.8%-ით გაიზარდა და 925.0 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

2024 წლის აპრილში მანქანები (-27.5% წ/წ), ლვინო (+94.1% წ/წ), სპირტი (+64.8% წ/წ), მინერალური წყალი (+11.1% წ/წ) და გაზირებული წყალი (-2.3% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 6.9% ევროკავშირზე მოდიოდა (-60.0% წ/წ), 72.6% დსთ-ზე (-2.9% წ/წ) და 20.5% სხვა ქვეყნებზე (-8.5% წ/წ).

2024 წლის აპრილში ტოპ-5 იმპორტი იყო მანქანები (-33.8% წ/წ), ნავთობი (+99.9% წ/წ), მედიკამენტები (+57.7% წ/წ), გამომთვლელი მანქანები (+251.2% წ/წ) და ტელეფონები (-8.5% წ/წ).


ჯამურად, 2024 წლის იანვარ-აპრილში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 7.5%-ით გაიზარდა და 3.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 10.1%-ით შემცირდა 1.8 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 0.3%-ით გაიზარდა და 4.8 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2023	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	23,344	25,387
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,210	8,874
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	3.0%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	5.2
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.3%	4.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.0%	38.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაბარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

უმუშევრობის დონე საქართველოში



წყარო: საქსტატი

მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წლიური %-ლი ცვლილება



წყარო: საქსტატი





ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	91.23	7.81	292.84
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	89.24	7.10	269.51
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/	99.94	11.35	n/a
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/B2	98.35	9.92	558.91
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	99.98	8.38	370.00
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/Ba2	99.81	8.97	349.97
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/	99.99	10.63	521.65

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	n/a	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.87	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.98	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	99.99	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.98	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.66	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.17	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.14	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.57	8.75
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.56	8.75
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.67	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	99.57	7.25
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	100.43	6.50
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-	99.55	7.25
GEL								
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 40.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.02% წინა კვირასთან შედარებით და -22.79% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 496 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 39.20 - 43.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 131 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 26.60 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.00% წინა კვირასთან შედარებით და -18.65% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 378 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.20 - 27.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 138 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.38% წინა კვირასთან შედარებით და -23.90% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 507 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.84 - 10.44 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 122 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

										P/E		P/B	
ბანკი	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	რ. თვე	წ/წ ცვლ.	წლის დას.	2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	40.15	1,830	15.2%	24.9%	1.0%	4.36x	3.81x	3.88x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	26.60	1,473	-3.4%	7.0%	-6.0%	4.78x	4.12x	3.41x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	18.26	4,980	24.4%	29.5%	20.4%	2.57x	2.87x	2.83x	0.72x	0.88x	0.75x
Akbank	AKBNK	TRY	66.50	345,800	108.7%	376.7%	82.1%	2.86x	4.83x	3.27x	0.90x	1.37x	0.95x
Garanti	GARAN	TRY	99.25	416,850	92.2%	320.6%	70.1%	2.84x	4.69x	3.25x	1.00x	1.42x	1.07x
Isbank	ISCTR	TRY	15.44	386,000	81.6%	278.1%	65.2%	3.23x	4.28x	3.01x	0.87x	1.25x	0.89x
PKO	PKO	PLN	58.02	72,525	24.7%	77.8%	15.3%	11.44x	7.10x	7.12x	1.39x	1.42x	1.34x
PEKAO	PEO	PLN	158.65	41,641	15.2%	58.9%	4.3%	6.07x	6.84x	7.25x	1.32x	1.34x	1.25x
Millennium	MIL	PLN	8.56	10,378	11.8%	82.8%	2.4%	17.78x	4.03x	4.90x	1.47x	1.36x	1.15x
Mbank	MBK	PLN	630.80	26,787	13.6%	75.2%	17.9%	na	5.37x	6.32x	1.65x	1.58x	1.30x
BRD	BRD	RON	19.00	13,241	13.8%	56.3%	6.0%	7.62x	9.03x	9.33x	1.42x	1.39x	1.31x
Banca Transilvania	TLV	RON	31.30	24,998	36.3%	81.2%	29.0%	7.76x	8.60x	8.16x	1.82x	1.74x	1.49x
Komerční	KOMB	CZK	786.00	149,379	14.7%	19.2%	8.5%	8.76x	10.00x	9.41x	1.09x	1.19x	1.16x
Mean								6.67x	5.81x	5.55x	1.23x	1.36x	1.15x
Median								5.43x	4.83x	4.90x	1.19x	1.37x	1.16x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: შუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბაროკერო: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)